

თავი II

2016 წლის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

2016 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2.7 პროცენტი შეადგინა. პირველ კვარტალში - 3.3%, მეორე კვარტალში - 2.8%, მესამე კვარტალში - 2.2%, ხოლო მეოთხე კვარტალში - 2.8%. 2016 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 33 921.6 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 6.8 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 9 118 ლარი (3 853 აშშ დოლარი) შეადგინა.

2016 წლის მონაცემებით ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: სასტუმროები და რესტორნები (9.9%), საფინანსო საქმიანობა (9.3%), მშენებლობა (8.1%), ოპერაციები უძრავი ქონებით (6.7%), სამთომომპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა (5.0%).

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2016 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი კვლავ ეჭირა კერძო სექტორს. 2016 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 13.3 პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 14.6 პროცენტით გაიზარდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია 36.3 ათასი ადამიანით (აღნიშნული მონაცემები მოცემულია საქსტატის, ბიზნეს სექტორის 2015-2016 წლების კვარტალური კვლევების მიხედვით. 2016 წლის წლიური კვლევების შედეგები და დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2017 წლის 2 ოქტომბერს).

ფასები

2016 წლისათვის ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 5 პროცენტი იყო. 2016 წელს ინფლაცია კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. შედეგად, წლიური ინფლაცია მნიშვნელოვნად ჩამორჩა თარგეთს და 1.8 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო 2016 წლის მშპ-ის დეფლატორი 4.0 პროცენტს შეადგენს.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ფასების 13.1 პროცენტის ზრდა დაფიქსირდა ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს ჯგუფზე, რაც 0.8 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 1.6 პროცენტით და ჯგუფმა 0.51 პროცენტული პუნქტი შეიტანა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში. ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2.2 პროცენტით, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0.26 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

ლარის გაცვლითი კურსი

2016 წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 10.5 პროცენტით გაუფასურდა. აღნიშნული გაუფასურება გამოწვეულია ერთის მხრივ ძლიერი დოლარით, ხოლო მეორე მხრივ შესუსტებული საგარეო მოთხოვნით, რაც მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება. აღნიშნულ პერიოდში ლარის ევროსთან გაუფასურებამ 6.8 პროცენტი შეადგინა. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს მთავარ სავაჭრო პარტნიორების შეწონილ კურსებთან - გაუფასურდა 3.6 პროცენტით.

საგარეო ვაჭრობა

2016 წელს, საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 350 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1.4 პროცენტით ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 2 114 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (4.1% ნაკლები), ხოლო იმპორტი 7 236 მლნ აშშ დოლარს (0.6% ნაკლები).

2016 წლის ბოლოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 5 122 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0.9 პროცენტით მეტია წინა წელთან შედარებით.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 766 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 1.9 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 571 მლნ. აშშ დოლარი იყო (12% ნაკლები), ხოლო იმპორტი 2 195 მლნ. აშშ დოლარი (6% მეტი).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 3 პროცენტით ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 12 პროცენტით შემცირდა, ხოლო იმპორტი 1 პროცენტით გაიზარდა.

2016 წელს, საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებიდან პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა და მთლიანი ექსპორტის 14.7 პროცენტი შეადგინა. შემდეგ მოდიან თხილი და კაკალი 8.5%, ფეროშენადნობები 8.0%, მსუბუქი ავტომობილები 7.9%, ყურძნის ნატურალური ღვინოები 5.4% და ა.შ.

ექსპორტის სტრუქტურაში ქვეყნების მიხედვით, რუსეთს ყველაზე დიდი 9.8 პროცენტის წილი აქვს. შემდეგ მოდიან თურქეთი 8.2%, ჩინეთი 8.0%, ბულგარეთი 7.9%, აზერბაიჯანი 7.3% და ა.შ.

სახელმწიფო ვალი

სახელმწიფოს ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში სტაბილურობით ხასიათდება და 2016 წელს მშპ-ს 44.6 პროცენტის დონეზეა. აქედან, საგარეო ვალი 35.2, ხოლო საშინაო ვალი 9.3 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი დაბალია ეკონომიკური თავისუფლების აქტით განსაზღვრულ სახელმწიფო ვალის დონეზე (60%).

ფულადი გზავნილები

2016 წლის მეორე ნახევრიდან ფულადი გზავნილების დინამიკა დადებითი მიმართულებით შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ პირველ 5 თვეში ფულადი გზავნილები კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, 2016 წელს წმინდა ფულადი გზავნილები წინა წელთან შედარებით 5.3 პროცენტით გაიზარდა. 2016 წელს წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა რუსეთიდან 13.5 პროცენტით, ხოლო გაიზარდა ისრაელიდან 87.3 პროცენტით, აშშ-დან - 26.9 პროცენტით, თურქეთიდან 23.5 პროცენტით და იტალიიდან 11.1 პროცენტით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2016 წელს, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 5 პროცენტით გაიზარდა და 1 645 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს აზერბაიჯანი (578 მლნ აშშ დოლარი) და თურქეთი (272 მლნ აშშ დოლარი) წარმოადგენს. ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიციები ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის, ენერჯეტიკის და მშენებლობის სექტორებში განხორციელდა.

ინფორმაცია საქართველოს 2016 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2016 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 571 800,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 9 675 506,8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101,1%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8 740 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8 786 065,3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100,5%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 246 800,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 297 304,0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 120,5%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 585 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 592 137,5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101,2%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 367 188,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (305 000,0 ათასი ლარი) 120,4%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 81 210,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (60 000,0 ათასი ლარი) 135,4%-ია.

2016 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	ათასი ლარი %
შემოსავლები	9,571,800.0	9,675,506.8	103,706.8	101.1
გადასახადები	8,740,000.0	8,786,065.3	46,065.3	100.5
საშემოსავლო გადასახადი	2,525,000.0	2,414,050.3	-110,949.7	95.6
მოგების გადასახადი	980,000.0	1,055,936.5	75,936.5	107.7
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,802,000.0	3,286,393.4	-515,606.6	86.4
აქციზი	1,012,000.0	1,069,658.1	57,658.1	105.7
იმპორტის გადასახადი	75,000.0	70,040.6	-4,959.4	93.4
ქონების გადასახადი	321,000.0	363,401.1	42,401.1	113.2
სხვა გადასახადები	25,000.0	526,585.3	501,585.3	2,106.3
გრანტები	246,800.0	297,304.0	50,504.0	120.5
სხვა შემოსავლები	585,000.0	592,137.5	7,137.5	101.2

ცალკეული გადასახადების არაერთგვაროვანი შესრულება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2016 წლიდან შეიცვალა და გამარტივდა გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადის გადახდის სისტემა, ნაცვლად არსებული სახაზინო კოდებისა ყველა გადასახადისთვის დაწესდა სახაზინოს ერთიანი სახაზინო კოდი და გაუქმდა კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების სახეების სახაზინო კოდები. გადახდილი თანხების აღრიცხვა კონკრეტული გადასახადის სახეში ხდება გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების შესაბამისად, ხოლო საგადასახადო დეკლარაციის

ჩაბარების ვადის დადგომამდე ან გადახდის ვალდებულების წარმოქმნამდე გადახდილი თანხები აღირიცხება სხვა გადასახადში, საიდანაც შემდგომში, საგადასახადო ვალდებულების დადგომის შემდეგ, ხდება მისი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. სხვა გადასახადში აღირიცხება ასევე გაურკვეველი ან არასწორი პირადი მონაცემების მითითებით განხორციელებული გადახდები მათ დაზუსტებამდე. აღრიცხვის ახალი სისტემა გრძელვადიანი პერიოდისთვის უზრუნველყოფს გადასახადების აღრიცხვის გაუმჯობესებას.

ინფორმაცია საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8 546 800,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8 580 032,1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100,4%.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ათასი ლარი	
			+/-	%
შემოსავლები	8,546,800.0	8,580,032.1	33,232.1	100.4
გადასახადები	7,980,000.0	7,986,750.3	6,750.3	100.1
გრანტები	246,800.0	296,827.0	50,027.0	120.3
სხვა შემოსავლები	320,000.0	296,454.8	-23,545.2	92.6

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 980 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7 986 750,3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100,1%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 978 136,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 086 000,0 ათასი ლარი) 94,8%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 1 055 936,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (980 000,0 ათასი ლარი) 107,7%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 3 286 393,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 802 000,0 ათასი ლარი) 86,4%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 1 069 658,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 012 000,0 ათასი ლარი) 105,7%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 70 040,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (75 000,0 ათასი ლარი) 93,4%-ია.
- სხვა გადასახადების სახით მობილიზებულია 526 585,3 ათასი ლარი.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	7,980,000.0	7,986,750.3	6,750.3	100.1
საშემოსავლო გადასახადი	2,086,000.0	1,978,136.4	-107,863.6	94.8
მოგების გადასახადი	980,000.0	1,055,936.5	75,936.5	107.7
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,802,000.0	3,286,393.4	-515,606.6	86.4
აქციზი	1,012,000.0	1,069,658.1	57,658.1	105.7
იმპორტის გადასახადი	75,000.0	70,040.6	-4,959.4	93.4
სხვა გადასახადები	25,000.0	526,585.3	501,585.3	2,106.3

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 246 800,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 296 827,0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 120,3%.

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გრანტები	296,827.0
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	97,318.2
საინვესტიციო გრანტები	143,436.4
SDC	882.9
GEF	442.9
EU	37,888.5
E5P	5,806.1
SIDA	2,423.1
ORET	1,139.5
ORIO	434.2
CNF	996.0
IFAD	399.3
KfW	17,811.6
MCC	53,218.4
USAID	21,993.9
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	56,072.4

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 320 000,0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 296 454,8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 92,6%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 71 727,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (64 500,0 ათასი ლარი) 111,2%-ია. აქედან,
 - **პროცენტები** - 50 282,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (50 000,0 ათასი ლარი) 100,6%-ს შეადგენს.
 - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 717,1 ათასი ლარი.
 - **რენტის** სახით მობილიზებულია 20 727,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 000,0 ათასი ლარი) 172,7%-ია.
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 80 627,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (75 900,0 ათასი ლარი) 106,2%-ია. აქედან,
 - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 76 316,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70 800,0 ათასი ლარი) 107,8%-ია. მათ შორის:
 - სალიცენზიო მოსაკრებელი - 421,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (800,0 ათასი ლარი) 52,7%-ია;
 - სანებართვო მოსაკრებელი - 54 046,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (50 000,0 ათასი ლარი) 108,1%-ია.
 - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 1 921,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 400,0 ათასი ლარი) 137,2%-ია;
 - სახელმწიფო ბაჟი - 17 280,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15 000,0 ათასი ლარი) 115,2%-ია;
 - საკონსულო მოსაკრებელი - 1 348,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 200,0 ათასი ლარი) 61,3%-ია;
 - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 900,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 000,0 ათასი ლარი) 90,0%-ია.
 - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია - 398,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (400,0 ათასი ლარი) 99,5%-ია.
 - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 4 310,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 100,0 ათასი ლარი) 84,5%-ია. მათ შორის:
 - საქონლის რეალიზაციიდან - 65,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100,0 ათასი ლარი) 65,7%-ია;
 - მომსახურების გაწევიდან - 4 223,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 000,0 ათასი ლარი) 84,5%-ია;
 - სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან - 21,6 ათასი ლარი;
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 57 418,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70 000,0 ათასი ლარი) 82,0%-ია.
- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე** მობილიზებულია 23 054,8 ათასი ლარი.
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 63 626,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (107 200,0 ათასი ლარი) 59,4%-ია.

**2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები**

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	320,000.0	296,454.8	-23,545.2	92.6
შემოსავლები საკუთრებიდან	64,500.0	71,727.2	7,227.2	111.2
პროცენტები	50,000.0	50,282.6	282.6	100.6
დივიდენდები	2,500.0	717.1	-1,782.9	28.7
რენტა	12,000.0	20,727.5	8,727.5	172.7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	75,900.0	80,627.4	4,727.4	106.2
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები	70,800.0	76,316.5	5,516.5	107.8
სალიცენზიო მოსარებლები	800.0	421.4	-378.6	52.7
სანებართვო მოსარებლები	50,000.0	54,046.4	4,046.4	108.1
სარეგისტრაციო მასაკრებლები	1,400.0	1,921.4	521.4	137.2
სახელმწიფო ბაჟი	15,000.0	17,280.4	2,280.4	115.2
საკონსულო მოსაკრებელი	2,200.0	1,348.7	-851.3	61.3
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,000.0	900.2	-99.8	90.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	400.0	398.0	-2.0	99.5
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5,100.0	4,310.9	-789.1	84.5
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	100.0	65.7	-34.3	65.7
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5,000.0	4,223.6	-776.4	84.5
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		21.6	21.6	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	70,000.0	57,418.7	-12,581.3	82.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	2,400.0	23,054.8	20,654.8	960.6
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	107,200.0	63,626.7	-43,573.3	59.4

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 246 291,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (225 000,0 ათასი ლარი) 109,5%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 88 717,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (90 000,0 ათასი ლარი) 98,6%-ია.